ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გენადი მესხიძის 2016 წლის ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მერიის ადმინისტრაციულ ერთეულიდან.

ვარ საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრეთვე აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების, ასევე ფრაქცია ,,ჩვენი ოზურგეთი"–ს წევრი. აქტიურად ვმონაწილეობ ყველა საკითხის განხილვა–გადაწყვეტაში. მათ შორის: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში, მასში ცვლილებების თუ ფრაქციათა რეგისტრაციისა და გაუქმების საკითხებში.

კომისიებში განვიხილავდით შემოსულ კორესპოდენციებს, განცხადებებს, ვისმენდით აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების ანგარიშებს და ვაფასებდით მათ მუშაობას. მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების, ან სარგებლობის უფლებით გადაცემის, ასევე ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის განხილვა დამტკიცება.

საანგარიშო პერიოდში სოფელში: მოსახლეობაზე გაიცა:

1.სახლის გადასახური მასალები 8425 ლარის ოდენობით.
2.ბეტონის გზების მოწყობა 50645,31 ლარი
3.მერია-ხვარბეთი, გზის ორმული შეკეთება 16177,79 ლარი
4.ჭაბურღილის სარემონტო სამუშაოები 4244,66 ლარი
5. მერიში არსებული ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე არსებულ ბინები უზრუბნველყოფილი იქნა ბუნებრივი აირით.
6. 2017 წელს იგეგმება მერიის ცენტრიდან მერიის ხიდამდე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
7.2017 წელს იგეგმება საბავშვო ბაღის გაკეთება.
8. არხის გაწმენდა და დატვირთვა ავტომანქანაზე ექსკავატორით,
9. მოწესრიგდა და რეაბილიტაცია ჩუტარდა შიდა გზებს.
10. საგარანტიო სამედიცინო დახამრება გაეწია 15 ბენეფიციალს 3531 ლარი
11.ც ჰეპატიტით დაავადებულ პირებს გაეწია დახმარება 939 ლარით
12.გამგებლის სარეზერვო ფონდიდან დახამრება გაეწია 9 ბენეფიციალს.
13.უსინათლოთა პროგრამით დახმარება გაეწია 3 ბენეფიციალს: 600 ლარი

ხვარბეთში მიქატაძეების უბანში გაიწმინდა სანიაღვრე არხები და მოწესრიგდა გზის საფარი.
ხვარბეთში ერთ-ერთ უბანში გაიწმინდა არხები და ჩატარდა გზის მოხრეშვითი სამუშაოები.
ხვარბეთში გურამ მურვანიძისა და გიორგი გობრონიძის ეზოსთან მოეწყო ბეტონის გზა.
ავთო შავაძის ეზოსთან ხვარბეთში მოეწყო გზის საფარი.

ჭახვათას საყანე ფართობებში მოეწყო სანიაღვრე არხები.

იმედს გამოვთქვამ, რომ 2017 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების წარმატებით გადაჭრას შევძლებთ.

საკრებულოს წევრი

გენადი მესხიძე